



14 წლამდე კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა რეფერირების მექანიზმები  
ქართულ სამართალში

მარიამი აფხაზავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე  
სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი აფხაზავა

30.06.2020

## აბსტრაქტი

ყოველი ბავშვი წარმოადგენს პატარა პიროვნებას, რომელიც მზად არის, შეიცნოს მის ირგვლივ არსებული სამყარო. ცნობისმოყვარეობა კი, თავის მხრივ, იწვევს განსხვავებულ ქცევებს, რომელიც შეიძლება იყოს არაპროგნოზირებადი და მიუღებელი.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. ამით ხაზი გაუსვა ბავშვთა მიმართ განსაკუთრებულ მიდგომათა აუცილებლობას. იურიდიული ჩარჩოს მიღმა დარჩენილი 14 წლამდე მოზარდების საუკეთესო ინტერესების დასაცავად კი 2020 წლის 1 იანვარს ამოქმედდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესი. სფერო, რომელიც ეხება ბავშვს მუდამ იქნება შესწავლის საგანი, რადგან მუდმივად ცვალებადია. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ 14 წლამდე არასრულწლოვანთა ბუნება, რომლის მიხედვითაც მოხდება რეფერირების წესის გამოყენება, თუმცა როგორ უნდა იმოქმედოს ამ ინსტიტუტმა, ასევე ფრიად საყურადღებოა.

ჩვენი ყურადღებისა და დაკვირვების არეალს მოიცავს ბავშვის ამოცნობა, თუ რა ინტერესები, მისწრაფებები, სურვილები გააჩნია მას, ამასთან გარკვევა, თუ სად და როგორ იზრდება, რა მდგომარეობა და ურთიერთობა სუფევს ოჯახში, სკოლაში რა ადგილი უჭირავს, ვისთან და როგორ ატარებს თავისუფალ დროს... შესაბამისად, მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის მიხედვით უნდა შემუშავდეს ინოვაციური მიდგომის გზები და, ასევე, გამოყენებულ იქნეს უკვე გამოცდილი საშუალებები.

რეფერირების სისტემას აქვს შესაძლებლობა დააყენოს არასრულწლოვნები სწორ გზაზე, რაც გულისხმობს დანაშაულის პრევენციას. ამ მხრივ, განრიდება-მედიაციის ინსტიტუტი არის ინსტიტუტი, რომელიც განკუთვნილია 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებისთვის და ეფექტურად ასრულებს თავის მოვალეობას. 14 წლამდე ბავშვები უფროს არასრულწლოვნებთან შედარებით არიან მეტად დაბნეულები, ფაქიზები, გაურკვეველები საკუთარ თავში და შეიძლება ვერ აცნობიერებენ ქმედების არსსა და მის მომდევნო შედეგს. შესაბამისად, რეფერირების სისტემას მნიშვნელოვანი

როლი გააჩნია ზუსტად, რომ 14 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ. ყოველი ახალი შემთხვევა, იქნება ახალი შესაძლებლობა ახალი მიდგომის აღმოსაჩენად.

ჩვენი უმცროსი თაობის შეცნობა მოგვცემს შესაძლებლობას, შევუქმნათ მათ ინდივიდუალური პირობები და ცხოვრება დანაშაულის გარეშე.

**ძირითადი სამიზნო სიტყვები:** დელიქვენტური ქცევა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რთული ქცევა, რეფერირების წესის მიზანი, რეფერირების მექანიზმები, სერვის/პროგრამები.

## Abstract

Each child is a small person who is ready to know the world around him. Curiosity, in turn, leads to different behaviors that can be unpredictable and unacceptable.

Georgia has taken an important step in adopting the Juvenile Justice Code, emphasizing the need for a special approach to children. In order to protect the best interests of minors under the age of 14 who remained outside the legal framework, the juvenile referral rule came into force on January 1, 2020. The area that concerns the child will always be the subject of study because it is constantly changing. It is therefore important to find out the nature of minors under the age of 14, according to which the rule of reference will be applied, but how this institution should act is also very important.

Our area of attention and observation includes identifying the child, what interests, aspirations, desires he has, while clarifying where and how he grows up, what situation and relationship reigns in the family, what place he occupies in school, with whom and how he spends his free time ... In order to determine its best interests, innovative approaches should be developed and experienced tools should be used.

The referral system has the potential to put minors on the right track, which means crime prevention. In this regard, the Diversion-Mediation Institute is an institution designed for minors aged 14 to 18 and effectively performs its duties. Children under 14 are more confused than older adults, uncertainties in oneself and one may not realize the essence of the action and its subsequent consequences. Consequently, the referral system plays an important role precisely in dealing with minors under 14 years of age. Each new case will be a new opportunity to discover a new approach.

Knowing our younger generation will give us the opportunity to create for them individual conditions and life without crime.

**Keywords:** Delinquent Behavior, Juvenile Best Interest, Difficult Behavior, Reference Rule Objective, Reference Mechanisms, Service / Programs.